



**NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT**

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ**

**მასობრივი კომუნიკაციების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
უმადლესი აკადემიური განათლების პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)**

**შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო
უნივერსიტეტი ალტერბრიჯი**

შეფასების თარიღი: 24 მაისი, 2023

დასკვნის წარდგენის თარიღი: 5 ივლისი, 2023

თბილისი

შინაარსი

<u>I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ</u>	3
<u>II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა</u>	5
<u>III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან</u>	10
<u>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</u>	12
<u>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</u>	23
<u>3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</u>	34
<u>4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</u>	38
<u>5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</u>	48

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	405284473
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი ადრიან ჰედლენდი, სტირლინგის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო (თავმჯდომარე)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მაგდა მემანიშვილი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო მახვილამე, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო პატარაია, (განათლების ექსპერტი), EK იურიდიული ოფისი, თბილისი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დავით კაკიაშვილი, სტუდენტი (დოქტორანტი), გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Mass Communication
უმაღლესი განათლების საფეხური	პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0321- ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული 2022 წლის 29 ივლისი, N 858757
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

შესაფასებელი პროგრამა არის: მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა, იგი ხორციელდება შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტში ალტერბრიჯი, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, საქართველოში და დაფუძნდა 2018 წელს. სწავლების ენა ქართულია. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 54 ადამიანი, 19 აკადემიური პერსონალი (მათ შორის 14 დოქტორის ხარისხით, 5 კი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე), 35 კი მოწვეული სპეციალისტია. ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ სტუდენტები აღჭურვილნი საკომუნიკაციო უნარების სრული სპექტრით, რათა მათ შეძლონ საქართველოსა თუ საერთაშორისო ბიზნესებში და კომპანიებში დასაქმება. პროგრამის ეს ფოკუსი არის სათანადო და აუცილებელი. პროგრამას ჰქონდა პირობითი აკრედიტაცია, რომელიც მან 2022 წლის 29 ივლისს მიიღო ხოლო ფუნქციონირება 2022 წლის 19 სექტემბერს დაიწყო. პირობითი აკრედიტაციის ვადა იყო 1 წელი, კერძოდ 2023 წლის 29 ივლისამდე. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რამდენიმე რეკომენდაცია და ეს რეკომენდაციები ამ ანგარიშის ფარგლებში არის ასახული. ამჟამინდელ ექსპერტთა ჯგუფს სჯერა, რომ ალტერბრიჯის მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამამ შეასრულა აკრედიტაციისთვის საჭირო ყველა მოთხოვნა, პირობითი აკრედიტაციის მიღებიდან 6 თვეში აჩვენა მნიშვნელოვანი განვითარება და წინსვლა და მზად არის მოემსახუროს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემასა და ეკონომიკას მნიშვნელოვანი ახალი განზომილებით.

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ამ პროგრამაში (დონე მე-6) სტუდენტები აგროვებენ 240 კრედიტს ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) მიხედვით, 135 ECTS ენიჭება ძირითადი სასწავლო დარგის სავალდებულო კურსებს, 40 ECTS - ძირითადი სასწავლო სფეროს არჩევით კურსებს, 42 ECTS სავალდებულო კურსებს, რომლებიც ეფუძნება ზოგად ტრანსფერულ უნარებს, ხოლო 23 კრედიტის არჩევა შესაძლებელია სხვა პროგრამებიდან. პროგრამის მთავარი აქტუალობა მდგომარეობს ზოგადი კომუნიკაციის სპეციალისტების სწავლებასა და მომზადებაში, რომლებსაც შეუძლიათ იმუშაონ ინდუსტრიათა ფართო სპექტრში, მათ შორის მთავრობაში, მედიაში, საზოგადოებასთან ურთიერთობის, კრეატიული ინდუსტრიების, რეკლამის, მარკეტინგის და მესამე სექტორის ორგანიზაციებში, როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო დონეზე. არსებობს ძლიერი კავშირები ადგილობრივ მედია ბიზნესებთან - ზოგიერთი მათგანი ხელს აწერს ურთიერთგაგების მემორანდუმს უნივერსიტეტთან; უნივერსიტეტში რეგულარული ვიზიტები ხორციელდება პროფესიონალი პრაქტიკოსების მიერ („ალტერსტუმრები“).

პროგრამის მთავარი ასპექტები მოიცავს ძირითადი ცნებების თეორიულ გააზრებას, რომლებიც დაფუძნებულია სხვადასხვა დისციპლინაზე, როგორცაა კომუნიკაცია ან ფსიქოლოგია, და პრაქტიკული უნარების სწავლაზე სხვადასხვა ფორმატებისთვის მედია კონტენტის ეფექტური, ეთიკურად საპასუხისმგებლო და კრეატიული გზების საშუალებით, განსაკუთრებით უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას აქვს სამეცნიერო და თეორიული საფუძველი, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა პრაქტიკული მედია განათლების

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

მიწოდებას. ეს ასპექტი ინტეგრირებულია ბევრ კურსში, ფოტოგრაფიიდან დაწყებული ვიდეო მონტაჟით დამთავრებული.

ალტერბრიჯის მასობრივი კომუნიკაციების პროგრამა ძალიან აქტუალურია ზოგადად კულტურული რეგიონისთვის და კერძოდ მედიისა და კომუნიკაციების ბაზრისთვის საქართველოში. ეფექტურ კომუნიკაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიისა და ეკონომიკისთვის და ალტერბრიჯის მიერ მოწოდებული პრაქტიკული და თეორიული სწავლება მუდმივად ცვალებად მედიაგარემოში, რა თქმა უნდა აქტუალურია სამოქალაქო საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით დეზინფორმაციის, გლობალური გამოწვევებისა და გაურკვეველი ჭეშმარიტების ეპოქაში.

მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, რომელიც ალტერბრიჯის გუნდის შეიმუშავა არის:

- კურსდამთავრებულს შესძინოს მასობრივი კომუნიკაციის ძირითადი ელემენტების, ფუნქციების, პროცესის სოციალურ-კულტურულად და ტექნოლოგიურად განპირობებული ცოდნა;
- გამოუმუშავოს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის უნარ-ჩვევები შეტყობინების შექმნა-გავრცელებისთვის;
- ჩამოუყალიბოს არგუმენტირებული მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების უნარი;
- განუვითაროს პასუხისმგებლობისა და პროფესიული ეთიკის დაცვის უნარი საქმიანობის განხორციელებისას
- მისცეს სწავლისა და პროფესიული საჭიროებების დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობა .

ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება, რომ ეს მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებული. მოწოდებული დოკუმენტებისა და 2023 წლის 24 მაისს ადგილზე ვიზიტის დროს შეგროვებული ინფორმაციის მიხედვით, პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ამოცანებსა და სტრატეგიულ გეგმას.

• აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ადგილზე ვიზიტი შედგა 2023 წლის 24 მაისს უნივერსიტეტის კამპუსში - თბილისში. ვიზიტამდე რამდენიმე კვირით ადრე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო წვდომა დოკუმენტების ფართო სპექტრზე, მათ შორის თვითშეფასების ანგარიშზე, საქართველოს უმაღლესი განათლების კანონმდებლობის შესახებ ინფორმაციაზე, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოზე, პერსონალის სიებზე, მემორანდუმებსა და პროგრამის სილაბუსებზე, ასევე რუკებზე. მოგვიანებით, მოთხოვნისთანავე, მოწოდებული იქნა დამატებითი დოკუმენტები, როგორცაა პროგრამის ბიუჯეტი, უნივერსიტეტის სამწლიანი სტრატეგიული გეგმა, ასევე ინფორმაცია წინა გადაწყვეტილების შესახებ და მისი თანმხლები ანგარიშები. ზოგიერთი დოკუმენტი სათარგმნი იყო ქართულიდან ინგლისურად (თარჯიმნისთვის); განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ ადგილზე

ვიზიტისთვის უზრუნველყოფილი იყო თარჯიმანი, რომლის დახმარებითაც შეხვედრების მონაწილე პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა საკუთარ ენაზე წარმოედგინათ მტკიცებულებები და შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეც, თარგმანის მეშვეობით ისმენდა პროცესს.

ექსპერტთა ჯგუფს მთელი დღის განმავლობაში ჰქონდა გასაუბრებები და აგროვებდა ინფორმაციას. შეხვედრები დაიწყო უნივერსიტეტის მმართველ გუნდთან, მათ შორის თვითშეფასების ანგარიშის გუნდთან გასაუბრებით; შეხვედრები შედგა კათედრის ხელმძღვანელებთან, ლექტორებთან, ინდუსტრიის წარმომადგენლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის ობიექტები, მათ შორის ბიბლიოთეკა, სამონტაჟოები, სტუდია და კომპიუტერული სამუშაო სადგურები. საერთო შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ ალტერბრიჯში ზოგადი ატმოსფერო იყო მეგობრული, კოლეგიალური და უზრუნველყოფდა იდეალურ სამუშაო და სასწავლო გარემოს როგორც პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფზე შთაბეჭდილება მოახდინა პროგრამისადმი მთელი გუნდის ენთუზიაზმმა, გამძლეობამ (Covid-19-ის დროს და ყოვლისმომცველი ორწლიანი შეფასების პროცესის დროს), მათმა გულწრფელმა და გამჭვირვალე მოსაზრებებმა და სურვილმა, რომ კიდევ გაუმჯობესდნენ და განვითარდნენ. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ პროგრამას აქვს პოტენციური მოამზადოს კრიტიკული საკომუნიკაციო უნარების მქონე სტუდენტები ქართული ეკონომიკისთვის და რომ ეს საქართველოს სარგებელს მოუტანს დემოკრატიის კონსოლიდირების კუთხით.

ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ უნივერსიტეტის წარმომადგენლები ყველა დონეზე არიან ეფექტურები და შეუძლიათ დახმარების გაწევა, დაწყებული უფროსი მმართველი რგოლიდან-დამთავრებული სტუდენტებით. ჩვენი გამოცდილებით, ისინი ენთუზიაზმით გვეხმარებოდნენ ყველაფრში რაც გვჭირდებოდა, იქნებოდა ეს დოკუმენტებით, ინფორმაციით უზრუნველყოფა თუ სასმელი წყლით.

აუცილებლად აღსანიშნავია თუ რაოდენ ეფექტურად იმუშავეს და როგორი მხარდაჭერა და სასიამოვნო დამოკიდებულება გამოიჩინეს ცენტრის ძალიან პროფესიონალმა წევრებმა, რომელთაც წვლილი შეაქვთ ქართული ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში და საკუთარ როლს ასრულებენ დიდი ენერჯითა და პროფესიონალიზმით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, უმეტეს შემთხვევაში, ალტერბრიჯის მასობრივი კომუნიკაციების პროგრამა სრულად შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სრულ შესაბამისობაშია შემდეგ სტანდარტებთან: პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები (1 სტანდარტი), სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა (სტანდარტი 3) და სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა და პროფესიული განვითარება (სტანდარტი 4). აღნიშნულ სტანდარტებზე ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ გაუცია, თუმცა გასცა რამდენიმე რჩევა. რაც შეეხება დანარჩენ ორ სტანდარტს, რომელიც შეფასდა, კერძოდ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება (სტანდარტი 2) და სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები (სტანდარტი 3), ამ სტანდარტებთან მიმართებით გაკეთდა არსებითი რეკომენდაციები. თუმცა, ორივე აღნიშნულ სტანდარტში, პროგრამა შეფასდა როგორც „არსებითად შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა 8 რეკომენდაცია და რამდენიმე რჩევა, რათა დაეხმაროს დაწესებულებას გააუმჯობესოს ყველა მიმართულება ისე, რომ სრულ

შესაბამისობაში მოიყვანოს. ექსპერტთა ჯგუფი ოპტიმისტურადაა განწყობილი და ფირობს, რომ დაწესებულება ამას გონივრულ ვადაში შეძლებს.

- **რეკომენდაციები**

- ინფორმაცია იმ სავალდებულო და არჩევით საგნებზე, რომლებიც აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, მოცემული უნდა იყოს პროგრამაში, კერძოდ „საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების“ გრაფაში;
- აბიტურიენტებისთვის, რომლებიც გამოტოვებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და პროგრამის ხელმძღვანელების მიერ მკაფიოდ აღიწეროს ქართული ენის გამოცდის ჩაბარების პროცედურები. ქართული და ინგლისურენოვანი აღწერილობები გამოქვეყნდეს პროგრამაში და უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
- უსდ-მ ხელი მოაწერა თანამშრომლობის მემორანდუმებს მედია ორგანიზაციებთან (ონლაინ მედია საშუალებები, ტელევიზიები, რადიოები) და კერძო სტრუქტურებთან, რომელთა საჯარო ურთიერთობისა და სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტები უზრუნველყოფენ შესაძლებლობებს სტუდენტთა პრაქტიკული სწავლებისთვის. მემორანდუმების ერთი ნაწილი ყურადღებას უთმობს სტუდენტთა პრაქტიკის განხორციელებას, ხოლო მეორე ნაწილი (მაგალითად კავკასიის უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი) მხოლოდ ინსტიტუციურ თანამშრომლობას ითვალისწინებს. ეს მემორანდუმები მათი მიზნების გათვალისწინებით, პროგრამის მენეჯერების მიერ დალაგდეს კატეგორიების მიხედვით ;
- რეკომენდებულია „პროფესიული პრაქტიკის“ კურსის მეშვიდე ან მეექვსე სემესტრში გადატანა;
- რეკომენდებული სწავლა/სწავლების მეთოდების განხილვა და მათი შესაბამისობა ყველა კონკრეტული საგნის სწავლის მიზნებთან, აქტივობებთან და შეფასების კომპონენტებთან. საგნის სილაბუსების ავტორებისა და პროგრამის ხელმძღვანელების მიერ;
- გადაიხედოს შეფასების მეთოდები შემდეგი სავალდებულო საგნების სილაბუსებში - „სატელევიზიო მედია“, „ეფექტური პრეზენტაციის ტექნიკა“ და „ციფრული მედია და კომუნიკაცია“ ;
- ექსპერტთა ჯგუფისთვის მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში არ იყო ზუსტი, რადგან მასში გამოტოვებული იყო საკვანძო ინფორმაცია. თვითშეფასების ანგარიში აუცილებელია იყოს ინფორმაციული, ანალიტიკური და არგუმენტირებული, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ინდიკატორების შესაბამისად. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად უნდა იზრუნოს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრაზე;
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სპეციალური რეაგირების ფორმა (ან მოხსენების ფორმა) რომელშიც დოკუმენტური სახით აისახება რეკომენდებული

საკითხების განხორციელებაზე რეაგირება, რათა გადამოწმდეს გაუმჯობესდა თუ არა გასაუმჯობესებელი სფეროები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მნიშვნელოვანია სასწავლო პერსონალი მუდმივად ეცნობოდეს მასობრივი კომუნიკაციის, ციფრული მედიისა და ჟურნალისტიკის თანამედროვე კვლევებს, რათა პროგრამამ შეინარჩუნოს რელევანტურობა და იყოს სასარგებლო დამსაქმებლებისთვის; ასევე შეძლონ დაეხმარონ სტუდენტებს ამ კვლევებზე წვდომაში.
- მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტის ვებგვერდი და დეპარტამენტის ჩანაწერები შეიცავდეს სრულ დეტალურ ინფორმაციას კლასგარეშე აქტივობების, ტრენინგების და შეხვედრების შესახებ (მაგ. ფოკუს ჯგუფები) და რომ ეს ინფორმაცია მიეწოდოს სტუდენტებს, უნივერსიტეტის საზოგადოებას და პარტნიორებს;
- გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და შეიქმნას უკეთესი გზები სპეციალიზაციის უნარების შესაძენად.
- გადაიხედოს პროგრამაში არსებული სავალდებულო კურსების პროპორცია, ისე რომ შეიქმნას მეტი არჩევითი საგანი.
- გაგრძელდეს მუშაობა სილაბუსების ინტერნაციონალიზაციაზე;
- გადაიხედოს შეფასების მეთოდები, რათა შესაძლებელი იყოს უფრო მეტად განმავითარებელი შეფასებები.
- გადაიხედოს რამდენიმე მოდული, რომლებიც მასობრივი კომუნიკაციის პროგრამასთან არც ისე რელევანტური ჩანს.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ვებგვერდიდან წაშალოს ინფორმაცია გაუქმებულ საბაკალავრო პროგრამაზე სახელად –“საზოგადოებრივი ურთიერთობები“ რათა აბიტურიენტები და პოტენციური სტუდენტები შეცდომაში არ შევიდნენ;
- პროგრამის ხელმძღვანელებმა აწარმოონ აღრიცხვა/ანგარიშები უნივერსიტეტში განხორციელებული იმ აქტივობების (პროექტების) შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას. მსგავსი აღრიცხვა/ანგარიში შემდგომში გამოდგება როგორც მტკიცებულება პროგრამის განვითარების ანგარიშებსა თუ ხელახალი აკრედიტაციის დროს;
- სასურველია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტთან ერთად, უნივერსიტეტმა საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია ამ მექანიზმის სამუშაო პრინციპის შესახებ, ასევე ფოკუს ჯგუფების განრიგისა და ინფორმაციის შეგროვების თაობაზე და შემდგომ ანგარიში გააკეთოს მიგნებებსა და შეთავაზებულ ცვლილებებზე;
- გვსურს წავახალისოთ პროგრამა - გაფართოვდეს შესაძლებლობები საერთაშორისო სტუდენტებისთვის და პერსონალის გაცვლითი პროგრამებისთვის;

- მოვუწოდებთ უნივერსიტეტს, რეგულარულად განაახლოს ვებგვერდი, რათა მასში მოცემული იყოს ინფორმაცია საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების, სტაჟირებებისა და პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესახებ;
- კურსებში, რომლებშიც პრაქტიკა არის ინტეგრირებული, ეს ინფორმაცია სილაბუსებსა და სწავლის შედეგებში უფრო მკაფიოდ იყოს მითითებული.
- სასწავლო გუნდმა გააგრძელოს თავდაუზოგავი შრომა, რათა უზრუნველყოს მასალებისა და რესურსების განახლება და კომუნიკაციების სექტორში არსებული თანამედროვე თემებისა და მიმდინარე მოვლენების ასახვა.
- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა გამოიკვლიოს არსებული ადამიანური რესურსების გამოყენების შესაძლებლობა კონკრეტული საგნების უფრო ეფექტიანად სწავლებისათვის.
- განხილულ იქნეს ზოგიერთ მოდულის გუნდური სწავლება, რათა გააუმჯობესდეს სწავლების მდგრადობა.
- მიზანშეწონილია პროგრამის ინტეგრირების განხილვა გრძელვადიან საერთაშორისო პროექტებში, როგორცაა Erasmus+, რადგან ეს აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს საერთაშორისო საგანმანათლებლო საზოგადოებასთან აქტიური ჩართულობის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს მისცემს. ასეთ პროექტებში მონაწილეობას შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში, ხელი შეუწყოს მის შესაბამისობას გლობალურ სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან.
- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა პროაქტიულად შეიძინოს დამატებითი აღჭურვილობა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით, პროგრამის მოსალოდნელი გაფართოების გათვალისწინებით.
- პროგრამის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია ბიუჯეტში შემოსავლის დამატებითი წყაროების გათვალისწინება.
- მიზანშეწონილია შრომის ბაზრის კვლევაში ყურადღება გამახვილდეს უფრო სიდრმისეულ ანალიზზე, რომელიც უშუალოდ იქნება დაკავშირებული სფეროსთან.
- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა წარმოადგინოს შენობის ევაკუაციის გეგმა, წარმოაჩინოს მზადყოფნა და უზრუნველყოს რეაგირების ზომები საგანგებო სიტუაციებისთვის. ეს შესაძლებელს გახდის შეფასდეს უნივერსიტეტის შენობის შიგნით უსაფრთხოების პროტოკოლები და განხორციელებული პროცედურები.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**

ალტერბრიჯის ტრენინგ ცენტრი. 2012 წლიდან უნივერსიტეტი (პირვანდელი სახით, როგორც PR აკადემია) ახორციელებს სხვადასხვა სახის ტრენინგ სერვისებს საქართველოს საკომუნიკაციო

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

ბაზარზე, მათ შორის კორპორატიულ ტრენინგებს, ინდივიდუალურ კურსებს, ქოუჩინგს, კონსულტაციას და მენტორობას. სასწავლო ცენტრი გთავაზობთ მოკლე და გრძელვადიან სასერტიფიკატო პროგრამებს ფსიქოლოგიის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ქოუჩინგის, ადამიანური რესურსების და სხვა სფეროებში. მასობრივი კომუნიკაციის პროგრამა პირადად სარგებლობს სასწავლო ცენტრის გამოცდილებით, ექსპერტობით და კურსებით. ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება, რომ ეს საუკეთესო პრაქტიკის ძლიერი მაგალითია.

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

არგუმენტირებული პოზიციის შესახებ დაწესებულებამ წარმოდგენილ წერილში მიუთითა რომ პოზიციას ისინი წარმოადგენენ აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ზეპირ მოსმენაზე. შესაბამისად, დასკვნაში ცვლილებები ექსპერტთა მხრიდან არ ასახულა.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა აშკარა მტკიცებულებები იმისა, რომ პროგრამამ 2022 წლის შეფასების შემდეგ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. 22 არსებითი რეკომენდაციის უმეტესობაზე პროგრამამ მოახდინა რეაგირება. ზოგიერთ შემთხვევაში, პროგრამამ უკვე განახორციელა შეთავაზებული რეკომენდაცია, თუმცა ვერ წარმოადგინა ამის მხარდამჭერი ინფორმაცია. მართალია თვითშეფასების ანგარიში გონივრული თვალსაზრისით დეტალურია, თუმცა მას აკლია მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორცაა მაგალითად სტუდენტებისთვის შეთავაზებული კლასგარეშე აქტივობების ფართო სპექტრის შესახებ. გარდა ამისა, აშკარაა რომ უნივერსიტეტმა ჩაატარა ტრენინგები, წარმართა შეხვედრები და შექმნა ფოკუს ჯგუფები პროგრამის შესაფასებლად, თუმცა ეს ყოველივე არ არის ასახული არც დოკუმენტებში და არც უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ ასეთი ინფორმაციის გამოტოვების მიზეზი გახლავთ ის ფაქტი, რომ ეს პატარა და ახალი დეპარტამენტი, რომელიც ჯერ კიდევ ფეხს იდგამს. გარდა ამისა, კოვიდ 19-ის პანდემიასაც ექნებოდა აშკარა გავლენა ინფორმაციის გაზიარებასა და შეხვედრების დაგეგმვაზე.

მართალია არსებობს ისეთი მხარეები, რაც ჯერ კიდევ საჭიროებს მუშაობას, როგორცაა მასობრივი კომუნიკაციების ქართულენოვან საერთაშორისო კვლევებზე წვდომის უზრუნველყოფა ან უნივერსიტეტის ვებგვერდზე სრულყოფილი ინფორმაციის განთავსება, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილია იმ შესამჩნევი და ადეკვატური პროგრესით, რომელიც პროგრამამ განიცადა წინა შეფასების შემდეგ. ადგილზე ვიზიტის ბოლო სესიაზე, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულმა გუნდმა ექსპერტთა ჯგუფთან ერთად დეტალურად გაიარა 22 რეკომენდაცია და განმარტა დაწესებულების რეაგირება თითოეულ მათგანზე, ისევე როგორც ამჟამინდელი სიტუაცია და სამომავლო გეგმები. თავდაჯერებით ვაცხადებთ, და ეს ჩვენს რეკომენდაციებსა და რჩევებშიც აისახება, რომ პროგრამამ ძალიან დიდი შრომა გაწია, რათა შეემუშავებინა აქტუალური, სასიამოვნო და ღირებული საგანმანათლებლო გამოცდილება.

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

UNESCO-ს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით (ISCED-F-2013, ISCED-Foet-2013), მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა, რომელსაც ახლა ვაფასებთ, შედის სოციალურ მეცნიერებათა ფართო დარგში, ხოლო მისი დეტალური სფეროა „ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა (0321), რომელიც „შეისწავლის ჟურნალისტიკის/რეპორტიორობის თეორიასა და პრაქტიკას, როგორც მასობრივი კომუნიკაციის სფეროს ნაწილს. ჟურნალისტიკასა და რეპორტიორობას საქმე აქვს ტექსტის ფორმულირებასთან და ინფორმაციის (ამბის) შინაარსსთან.“

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია ჩამოყალიბებული, ამ პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური კომუნიკაციის სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ ეფექტური კომუნიკაციის დამყარება სამიზნე აუდიტორიასთან, რომლებსაც შეუძლიათ ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და გავრცელება ეთიკური სტანდარტების შესაბამისად და რომლებსაც შეუძლიათ მედიის კვლევა და მედია-გარემოს შეფასება. ეს უნარები მოთხოვნადია ადგილობრივ დასაქმების ბაზარზე და მის მიღმაც. გარდა ამისა, პროგრამა მიზნად ისახავს თავის კურსდამთავრებულებს მიაწოდოს მასობრივი კომუნიკაციის თეორიებისა და პრინციპების ცოდნა, ტრადიციული და ციფრული მედიის მიდგომების გააზრება და მედიაწიგნიერების ზოგადი კომპეტენცია.

პროგრამის მენეჯერები ხაზს უსვამენ პროგრამის შინაარსის მნიშვნელობას, რომელიც პასუხობს კომუნიკაციის სწრაფად ცვალებად სფეროს, როგორც თეორიული ცოდნის განვითარების კუთხით, ასევე პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების მთელი სპექტრის მიმართულებით. პრიორიტეტად სახელდება იმის უზრუნველყოფა, რომ კურსდამთავრებული სრულად იყოს აღჭურვილი დღევანდელი ციფრული მსოფლიოს გამოწვევებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის შინაარსში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, ან სტუდენტებისთვის შესაძლებლობების უზრუნველყოფა, როგორცაა კლასგარეშე აქტივობები ან ტრენინგები, დეტალურად გაიწეროს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და საკათედრო ჩანაწერებშიც, და რომ ამ ინფორმაციის მიწოდება მოხდეს სტუდენტებისთვის, საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და პარტნიორებისთვის.

როგორც სამიზნე ნიშნულების დედან დოკუმენტშია ახსნილი, რომელიც შემდგომ გარე - საერთაშორისო მიმომხილველის მიერ დადასტურდა, უნივერსიტეტის ყოვლისმომცველი კურიკულუმი თავისი სავალდებულო და არჩევითი საგნებით, შემუშავდა მას შემდეგ, რაც დეტალურად იქნა შესწავლილი საქართველოს, აშშ-ს და ევროპის სხვა უნივერსიტეტებში არსებული პროგრამები. გარე მიმომხილველის აზრით, მიღებული სასწავლო გეგმა შეესაბამება აღწერილ მიზნებსა და შედეგებს, მათ შორის დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის მასობრივი კომუნიკაციის მრავალმხრივი სისტემის აღიარებას. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება გარე მიმომხილველის მოსაზრებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- შრომის ბაზრის ანალიტიკური ანგარიში
- გასაუბრება კორპორატიულ პარტნიორებთან და შრომის ბაზრის დამსაქმებლებთან
- გასაუბრება პროგრამის მენეჯერებთან
- გასაუბრება სტუდენტებთან
- პროგრამის სილაბუსები და რუკები

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- მნიშვნელოვანია სასწავლო პერსონალი მუდმივად ეცნობოდეს მასობრივი კომუნიკაციის, ციფრული მედიისა და ჟურნალისტიკის თანამედროვე კვლევებს, რათა პროგრამამ შეინარჩუნოს რელევანტურობა და იყოს სასარგებლო დამსაქმებლებისთვის; და შეძლონ, სტუდენტებს დაეხმარონ ამ კვლევებზე წვდომაში.
- დარწმუნდით, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და დეპარტამენტის ჩანაწერები შეიცავს სრულ დეტალურ ინფორმაციას კლასგარეშე აქტივობების, ტრენინგების და შეხვედრების შესახებ (მაგ. ფოკუს ჯგუფები) და რომ ეს ინფორმაცია მიეწოდება სტუდენტებს, უნივერსიტეტის საზოგადოებას და პარტნიორებს;

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სილაბუსები და რუკები აჩვენებს, რომ მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების ჩარჩოს. მიუხედავად იმისა, რომ ეს აკადემიური ხარისხი მიეკუთვნება ჟურნალისტიკასა და რეპორტიორობის დეტალურ სფეროს (0321), სილაბუსების შემქმნელების მიზანია მოამზადონ კომუნიკაციის, ენისა და ციფრული უნარების ფართო სპექტრის მქონე სტუდენტები შრომის ბაზარზე გასასვლელად. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს შევიდნენ სხვადასხვა პროფესიაში, მათ შორის: სახელმწიფო და კორპორატიული კომუნიკაციები, საზოგადოებასთან ურთიერთობა, რეკლამა და სამაუწყებლო და ბეჭდური მედია.

შემოთავაზებული კურსების უმეტესობა დამოუკიდებელი მოდულია, რომელსაც არ აქვს წინაპირობა და არ გადის უფრო მოწინავე უნარების შეძენაზე. პროგრამას აქვს მრავალი სავალდებულო მოდული (მათ შორის სამი ენა: ინგლისური, ქართული და რუსული, ფრანგული ან გერმანული), თუმცა ძალიან ცოტა ადგილი ეთმობა არჩევით ან სპეციალობის საგნებს. ფოტოხელოვნება, მაგალითად, სავალდებულოა, როდესაც ევროპის ბევრ ინსტიტუტში ის არჩევით საგანს წარმოადგენს ფოტოგრაფიისადმი განსაკუთრებული ინტერესის მქონე სტუდენტებისთვის. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სპეციალიზაციის მიმართულებით განვითარების მეტი გზები უნდა არსებობდეს, მაგალითად საზოგადოებასთან ურთიერთობებში. შეფასების კრიტერიუმების კუთხით, ეს მიგნება ეხება კურსდამთავრებულთა შესაძლებლობას, რომ გააგრძელონ სწავლა მომდევნო საფეხურზე და ასევე, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების გაღრმავება და განმტკიცება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრებები პერსონალთან, პროგრამის ლიდერებთან, კორპორატიულ პარტნიორებთან და სტუდენტებთან
- პროგრამის სილაბუსის რუკები და აღწერები

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და შეიქმნას უკეთესი გზები სპეციალიზაციის უნარების შესაძენად.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

➤ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ხელმძღვანელებმა აღწერეს სწავლის შედეგების შეფასების საფუძვლიანი და მიმდინარე პროცესები, მათ შორის ფოკუს ჯგუფები. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესების ამსახველი დეტალური ინფორმაცია დოკუმენტებში ყველგან არ იყო მოწოდებული, თუმცა ცხადი გახდა ადგილზე გასაუბრების დროს, თვითშეფასების ანგარიშში მეტნაკლებად ნათელია, თუ როგორ მუშაობს პროცესები ალტერნატივაში. ეს ინფორმაცია მოცემულია დოკუმენტში სახელწოდებით „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, რომელიც უნივერსიტეტმა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადა. დოკუმენტში აღწერილია უმაღლესი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესები და ინდიკატორები, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ეტაპები, მეთოდები და ინსტრუმენტები, სწავლის შედეგების სამიზნე დონეები. უნივერსიტეტის ცნობით, საგანმანათლებლო პროგრამის განმხორციელებელი პერსონალი იღებს მუდმივ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის საჭირო უნარების გასავითარებლად. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტთან ერთად, უნივერსიტეტმა საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ინფორმაცია ამ მექანიზმის სამუშაო პრინციპის შესახებ, ასევე ფოკუს ჯგუფების განრიგისა და ინფორმაციის შეგროვების თაობაზე და შემდგომ ანგარიში უნდა გააკეთოს მიგნებებსა და შეთავაზებულ ცვლილებებზე.

მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის კურსები ძალიან დატვირთულია შემაჯამებელი შეფასებებით, მოიცავს სავალდებულო შუალედურ და ფინალურ გამოცდებს, ასევე

მრავალ შეფასების ქულას, მთელი კურსის განმავლობაში. მართალია შეფასების ასეთი დონე უჩვეულო არ არის ამ ბაზრისთვის, თუმცა ეს დიდი სტრესია სტუდენტებისთვის, მათთვის რთული ხდება შეცდომების დაშვება და ამ შეცდომებზე სწავლა (განმავითარებელი სწავლა) და ასევე არ ასახავს სამუშაო სივრცის აქტივობებსა და რეალობას. მართალია ზოგიერთი კურსი ჯგუფურ სამუშაოებს და პროექტებს მოიცავს, თუმცა შეფასების უფრო მოქნილი მიდგომა უფრო სასურველი იქნებოდა, როგორც ამას ბევრი ევროპული უსდ აკეთებს; კერძოდ, ისეთი შეფასების მიდგომა, სადაც მეტად გამახვილდება ყურადღება განმავითარებელ შეფასებაზე და არა შემაჯამებელ შეფასებაზე. შეფასების სისტემა და შეფასების პერიოდულობა შედის ამ შეფასების ნაწილში და საჭიროებს გადახედვას.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს მასობრივი კომუნიკაციის სფეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ბაკალავრის საფეხურის შესაბამის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს (პირდაპირი და ირიბი შეფასების მეთოდები), რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კრიტერიუმები შეიქმნა პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების, დამსაქმებელთა ასოციაციისა და პიარ ასოციაციის წევრების, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით.

ამასთან, თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ განსაზღვრულია მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე დონეები და შეფასების გზით გამოვლენილი შედეგების მონიტორინგის საფუძველზე ხდება ამ დონეებთან შედარება. პროგრამის მიზნების ანალიზი და სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის გაუმჯობესების წინაპირობაა.

უნივერსიტეტის ცნობით, პროგრამის ხელმძღვანელებმა, განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით, შეიმუშავეს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმა და მოამზადეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები შეამოწმა დამსაქმებელთა ჯგუფმა და გარე ექსპერტმა.

ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილია, რომ ეს მექანიზმები არსებობს და რომ პროგრამაში სწავლის შედეგები ეფექტურად და სათანადოდ კონტროლდება და ფასდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრება პროგრამის მენეჯერებთან, უფროს მენეჯმენტთან და პერსონალთან.
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
- კურიკულუმის რუკა;
- მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგების რუკა

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტთან ერთად, უნივერსიტეტმა საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია ამ მექანიზმის სამუშაო პრინციპის შესახებ, ასევე ფოკუს ჯგუფების განრიგისა და ინფორმაციის შეგროვების თაობაზე და შემდგომ ანგარიში გააკეთოს მიგნებებსა და შეთავაზებულ ცვლილებებზე.

გადაიხედოს შეფასების მეთოდები, რათა შესაძლებელი იყოს უფრო მეტად განმავითარებელი შეფასებები.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თავიდანვე, ალტერბრიჯში მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის შემუშავება განხორციელდა საერთაშორისო ექსპერტების რჩევით და გამოვლენილი საერთაშორისო სამიზნე ნიშნულებისა და პრაქტიკის შესაბამისად. მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ექსპერტის მოხსენების თანახმად, ალტერბრიჯის „სავალდებულო და არჩევითი კურსების ყოვლისმომცველი სასწავლო გეგმა შემუშავდა საქართველოს, ამერიკისა და ევროპის სხვა უნივერსიტეტების პროგრამების ფართო კვლევის შემდეგ. მიღებული სასწავლო გეგმა შეესაბამება აღწერილ მიზნებსა და შედეგებს, მათ შორის მასობრივი კომუნიკაციის მრავალმხრივი სისტემის აღიარებას დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის“.

პროგრამის სტრუქტურა ექვივალენტურია „ჰუმანიტარული მეცნიერებების“ კვალიფიკაციისა, რომელიც პოპულარულია ევროპის, ჩრდილოეთ ამერიკის და გლობალურად. ამ შემთხვევაში, სტუდენტებს ეძლევათ წვდომა უნარებისა და პრაქტიკის ფართო სპექტრზე, რომლებიც ავითარებენ ცოდნას მთელ რიგ საგნებში და აძლიერებენ დასაქმების შესაძლებლობებს კურსის დამთავრების შემდეგ. გასაუბრების დროს კორპორატიულმა პარტნიორებმა აღნიშნეს, რომ ისინი მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავებაში. პროგრამა, ამ აკადემიური ხარისხის გათვალისწინებით, შეესაბამება საქართველოს საკანონმდებლო და უმაღლესი სასწავლებლების

ჩარჩოებს, არის ლოგიკური, თანმიმდევრული და შეესაბამება პროგნოზირებულ სწავლის შედეგებს.

ალტერბრიჯის მისიისა და სტრატეგიული ხედვის საფუძველზე, რომელიც ხაზს უსვამს მის მიერ თანამშრომლობის პრინციპის დაცვას, აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და გარე ექსპერტები სათანადოდ არიან ჩართულნი პროგრამის შემუშავებაში. პროგრამა ახალია და, შესაბამისად, არ ჰყავს კურსდამთავრებულები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ დაგეგმვასა და პროგრამის შემუშავებაში.

თვითშეფასების ანგარიშისა და გასაუბრებებზე მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, პროგრამის დამგეგმავებმა გაითვალისწინეს აკრედიტაციის ექსპერტებისა და საბჭოს წევრების რეკომენდაციები, ხელახალი აკრედიტაციის მომზადებაში ჩართული მხარეების რჩევები და მოსაზრებები (გარე ექსპერტები, განმახორციელებელი პერსონალი, პარტნიორი ორგანიზაციები, დარგის პროფესიონალები), რაც აისახა შესწორებულ პროგრამაში, ასევე სილაბუსებსა და სხვა საჭირო დოკუმენტებში.

გარდა ამისა, ბოლო შეფასებიდან მოყოლებული პერიოდის განმავლობაში - ალტერბრიჯი პირობითად აკრედიტებული იყო ერთი წლით და ამ დრომდე არ ჰყავს კურსდამთავრებული. შეიცვალა პროგრამა და მისი სწავლის შედეგები, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, კურსების თანმიმდევრობა და სწავლის წინაპირობები დაზუსტდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით. თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, შეიცვალა საბაკალავრო ნაშრომის გზამკვლევი და განახლდა საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი, სადაც დაზუსტებულია მასობრივი კომუნიკაციის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი სწავლის შედეგები და შეფასების კრიტერიუმები. ექსპერტთა დასკვნაში ასევე ხაზგასმულია, რომ პროგრამა მორგებული იყო ბაზრის ანალიზით გამოვლენილ საჭიროებებზე და შესაბამისად, ამ პროგრამის კურსდამთავრებულის პოტენციური დამსაქმებლებისთვის გაცილებით მიმზიდველი გახდა.

გასაუბრების დროს დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა და თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ მათ კურსებში რიგი კორექტივები შეიტანეს, რათა უფრო მეტი პრაქტიკული სამუშაო დაემატებინათ პროგრამაში. თუმცა ეს სილაბუსების რუკებიდან ყოველთვის არ ჩანს.

ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, ექსპერტთა ჯგუფისთვის ცხადია, რომ სტუდენტებისთვის არსებობს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, როგორცაა Erasmus Plus პროგრამა. თუმცა, სტუდენტებთან გასაუბრებიდან ამ შესაძლებლობების გაფართოების სურვილი იკვეთება. გასაუბრების დროს პროგრამის ლიდერებმა და თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ბევრს მუშაობენ, რათა უზრუნველყონ მასობრივი კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამა იყოს მუდმივად განახლებული და პასუხობდეს დღევანდელი ციფრული სამყაროს გამოწვევებს. ამის მტკიცებულება წარმოდგენილი იყო სილაბუსების გადასინჯვაში, რათა შეტანილი ყოფილიყო ისეთი კურსები, როგორცაა ციფრული მედიაწიგნიერება, ციფრული მედია და კომუნიკაცია, სოციალური მედიის მარკეტინგი და საინფორმაციო ტექნოლოგიები.

ალტერბრიჯის ტრენინგ ცენტრი, რომელიც ამ ანგარიშში არის განსაზღვრული, როგორც დარგის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი, ხელს უწყობს პერსონალის ჩართვას ტრენინგში და გაცვლით პროგრამებს სხვა ინსტიტუტებთან და უნივერსიტეტებთან. ეს ასევე ზრდის ალტერბრიჯის ინფორმირებულობას დარგის უფრო ფართო თემებისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ და საშუალებას აძლევს, საკუთარი წვლილი შეიტანოს ამ სფეროში.

მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს უცხო ენების შესწავლის არჩევანს, მათ შორის რუსულისა და გერმანულის ჩათვლით, ხოლო ამჟამინდელი სტუდენტები სტაჟირებას გადიან ისეთ ინსტიტუტებში, როგორცაა ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩო თბილისში. ეს შესაძლებლობები ასევე აძლევს პროგრამას საერთაშორისო განზომილებას და აძლიერებს მის სწავლის შედეგებს.

2022 წლის ბოლო შეფასებისა და პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შემდეგ, რეკომენდაციების შესაბამისად, შემცირდა სავალდებულო კურსების წილი.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს უსდ-ის ძალისხმევას პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერების კუთხით, რისი მტკიცებულებაც შეგროვდა ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების დროს. გარდა ამისა, არჩევითი საგნების კუთხით არსებობს მოქნილობის გარკვეული დონე. პროგრამაში სწავლის სფეროს მრავალფეროვანი არჩევითი კურსები სტუდენტს საშუალებას აძლევს საკუთარი ინტერესის დასაკმაყოფილებლად ან/და კომპეტენციის გასაძლიერებლად აირჩიოს შესაბამისი კურსები 40 კრედიტის ოდენობით. თავისუფალი კრედიტების ფარგლებში მას საშუალება აქვს სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული შესაბამისი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან აირჩიოს სხვა კურსები 23 კრედიტის ოდენობით.

ექსპერტთა ჯგუფის აზრით და პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებზე დაყრდნობით, ალტერნატივში მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება საქართველოში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. სასწავლო პროგრამა შეესაბამება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS). დოკუმენტებში შემუშავებული სწავლის შედეგები რეალისტურია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა, თანდართული სილაბუსებით
- კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მტკიცებულება
- საერთაშორისო ექსპერტის სამიზნე ნიშნულების ანგარიში
- ვებგვერდი.
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- გვსურს წავახალისოთ პროგრამა, გააფართოვოს შესაძლებლობები საერთაშორისო სტუდენტებისთვის და პერსონალის გაცვლითი პროგრამებისთვის;

- მოვუწოდებთ უნივერსიტეტს, რეგულარულად განაახლოს ვებგვერდი, რათა მასში მოცემული იყოს ინფორმაცია საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების სტაჟირებების და პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესახებ;

კურსებში, რომლებშიც პრაქტიკა არის ინტეგრირებული, ეს ინფორმაცია სილაბუსებსა და სწავლის შედეგებში უფრო მკაფიოდ იყოს მითითებული.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ალტერბრიჯის სასწავლო უნივერსიტეტის მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები, მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი და დამხმარე ლექტორები, პროგრამაში მონაწილეობენ კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებული პოზიციების, მათი ფუნქციების და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

პროგრამაში მონაწილეობს 38 პედაგოგი, მათ შორის 17 აკადემიური პერსონალი; აქედან 11 აფილირებული პროფესორია, დანარჩენი 21 კი - მოწვეული ლექტორი. თვითშეფასების დოკუმენტზე დაყრდნობით პროგრამა ინარჩუნებს მდგრად თანაფარდობას აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის, რომელიც განისაზღვრება 17/21.

აკადემიური პერსონალის დღევანდელი თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან, რომელიც 2.11-ს შეადგენს, შედარებით მაღალია. თუმცა, სამომავლოდ, სტუდენტური პოპულაციის დაგეგმილი ზრდის გათვალისწინებით და პროგრამული საგნების შეუფერხებლად განხორციელების

უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტისთვის ხელსაყრელი იქნება გარკვეული საგნების სწავლებისთვის დამატებითი აკადემიური პერსონალის მოწვევის განხილვა. ეს ღონისძიება გააძლიერებს სტუდენტების სწავლების საერთო გამოცდილებას და ხელს შეუწყობს უფრო დიდი აუდიტორიების ეფექტურად მართვას. ლექტორის არყოფნის შემთხვევაში, დროულად განხორციელდება ღონისძიებები, რათა სხვა კვალიფიციური ლექტორი გაუძღვეს საგანს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ პროგრესსა და სასწავლო პროცესის უწყვეტობას.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს ყველა იმ აუცილებელ კომპეტენციას, რაც საჭიროა კურიკულუმით გათვალისწინებული სასურველი სწავლის შედეგების მისაღწევად. ეს კომპეტენციები ეფუძნება პერსონალის აკადემიურ ხარისხს, პრაქტიკულ გამოცდილებასა და ბოლოდროინდელ სამეცნიერო წვლილს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ამ წვლილმა შეადგინა სულ 317 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგანაც 148 გამოქვეყნდა ადგილობრივ ჟურნალებში, 40 კი - საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. პროგრამის აქტუალობის შემდგომი გაზრდის მიზნით, სწავლების პროცესში ჩართულნი არიან დარგის პრაქტიკოსები, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას საქართველოს თანამედროვე მედიისა და კომუნიკაციების ბაზრის მოთხოვნებთან.

უმაღლესი განათლებისა და აკადემიური კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, მონოგრაფიები, პუბლიკაციები და სხვა არსებითი დოკუმენტაცია წარმოდგენილია სწავლებაში მონაწილე კონკრეტული პედაგოგის საჭირო კომპეტენციის არსებობის დასადასტურებლად. ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ადასტურებს პედაგოგის უნარს ხელი შეუწყოს სწავლის დაგეგმილი შედეგების მიღწევას.

პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესებისა და განათლების მაღალი სტანდარტის შესანარჩუნებლად, მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა განიხილოს გარე ექსპერტების წინადადებები და კონკრეტული საგნების უფრო ეფექტურად სწავლებისათვის გამოიკვლიოს არსებული ადამიანური რესურსების გამოყენების შესაძლებლობა.

პროგრამას უძღვებიან მაღალკვალიფიციური პირები, რომლებსაც აქვთ ლექტორის ხარისხი და ფლობენ დიდ გამოცდილებას მასობრივი კომუნიკაციის სფეროში. მათი ცოდნის, გამოცდილებისა და უნარების წყალობით მათ შეუძლიათ განავითარონ და დახვეწონ მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა. ეს ლიდერები აქტიურად უწყობენ ხელს პროგრამის მუდმივ შეფასებას და გაუმჯობესებას, აქტიურად მონაწილეობენ მის განხორციელებაში და სთავაზობენ სტუდენტებს ინდივიდუალურ კონსულტაციებს, რაც უზრუნველყოფს ფართო სასწავლო გამოცდილებას.

ვიზიტის დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებიდან და უნივერსიტეტის წესდების მითითებით, აშკარაა, რომ პროგრამა მხარდაჭერილია კომპეტენტური ადმინისტრაციული რესურსებით, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებით. თუმცა, პროგრამის განხორციელებაზე ორიენტირებული ადმინისტრაციული გუნდის კომპეტენციებისა და კვალიფიკაციების უფრო ყოვლისმომცველი შეფასება შესაძლებელი იქნებოდა, თუ უნივერსიტეტი წარმოადგენდა ამ პერსონალის დეტალურ სიასა და პირად საქმეებს.

მოდულების უმეტესობას ასწავლიან პერსონალის ცალკეული წევრები. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ევროპის ზოგიერთ ნაწილში გავრცელებული ნიმუში და როგორც ჩანს სტანდარტი საქართველოშიც, სულ უფრო და უფრო მეტი კომუნიკაციის მოდულები ისწავლება გუნდურად. ეს წახალისებდა თანამშრომლებს, რომ ესწავლებინათ თავიანთი ძლიერი მხარეები და ინტერესები და ასევე დაიცავდა სტუდენტებს ყოველგვარი არასტაბილურობისაგან (მაგალითად, პერსონალის ავადმყოფობის გამო), თავიდან აიცილებდა იმას, რაც შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც "წარუმატებლობის ერთი წერტილი", ან ზედმეტად დამოკიდებულება ინდივიდებზე. როგორც შეფასების კრიტერიუმები მიუთითებს, სასწავლო დატვირთვების კარგი ბალანსი ზრდის პროგრამის მდგრადობას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი გამოცდილების მქონე პერსონალი	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	17	16	12	11
- პროფესორი	4	4	2	3
ასოცირებული პროფესორი	8	8	5	6
- ასისტენტ-პროფესორი	5	4	5	2
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	21	19	5	-
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა
- დანართი 1 ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების შესახებ
- უნივერსიტეტის წესდება
- პერსონალის სია და პირადი საქმეები (CV-ები)
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვის გრაფიკი, აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის კოეფიციენტის ჩათვლით, რომელიც ითვალისწინებს მათ დატვირთვას სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა პროგრამაში ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობასთან
- ბალანსი აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ პერსონალს შორის
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელი

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა გამოიკვლიოს არსებული ადამიანური რესურსების გამოყენების შესაძლებლობა კონკრეტული საგნების უფრო ეფექტიანად სწავლებისათვის.
- განხილულ იქნეს ზოგიერთ მოდულის გუნდური სწავლება, რათა გაუმჯობესდეს სწავლების მდგრადობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არ ეხება (ამ პროგრამაში მაგისტრანტები ან დოქტორანტები არ არიან).

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			-
სამეცნიერო პერსონალი			-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტ "ალტერბრიჯის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პროგრამის მენეჯერები რეგულარულ ატარებენ პროგრამაში ჩართული როგორც მოწვეული, ასევე აკადემიური პერსონალის საქმიანობისა და მუშაობის ხარისხის შეფასებას. ისინი მუდმივად ურთიერთობენ პროგრამაში მონაწილე მოწვეულ პერსონალთან, აწვდიან მათ მკაფიო განმარტებებს უნივერსიტეტის რეგლამენტის, წესებისა და ხელმისაწვდომი ელექტრონული რესურსების შესახებ, რომელთა გამოყენებაც შეუძლიათ.

უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების მიხედვით, პედაგოგის მუშაობის შეფასება მოიცავს მრავალ კომპონენტს, მათ შორის სტუდენტების გამოხმაურებას, შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის ტესტის მომზადების ხარისხს და სხვა. გარდა ამისა, უნივერსიტეტში დანერგულია კოლეგიალური შეფასების სისტემა. გასაუბრებისას თანამშრომლებმა გამოამჟღავნეს

თავიანთი აქტიური ჩართულობა ამ პროცესში. ანალიზისა და შეფასების მეშვეობით პედაგოგებს, მათი საქმიანობიდან გამომდინარე, ეძლევათ რეკომენდაციები.

უნივერსიტეტი პრიორიტეტს ანიჭებს აკადემიური პერსონალის მეცნიერულ განვითარებას ფინანსური წახალისების მეშვეობით, რათა გამოქვეყნდეს სამეცნიერო სტატიები უნივერსიტეტის ეგიდით, როგორც ადგილობრივ პუბლიკაციებში, როგორცაა უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი "Modern Science Challenges", ისე საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში. აკადემიური პერსონალი ასევე წახალისებულია მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ითანამშრომლოს ერთობლივ პროექტებზე საერთაშორისო პარტნიორებთან და წვლილი შეიტანოს წიგნებისა და სახელმძღვანელოების შექმნაში. არსებული პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, უნივერსიტეტი ატარებს პერსონალის ყოველწლიურ გამოკითხვას, რომელიც მიზნად ისახავს პერსონალის კმაყოფილების შეფასებას და გამომხმარებლის გამოყენებას გაუმჯობესების განსახორციელებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ჩატარებული გასაუბრება აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან; ჩატარებული გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან და სტუდენტებთან;
- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები, მათ შორის პერსონალის მუშაობის შეფასების შედეგები და კმაყოფილების გამოკითხვები; შეფასების და კვლევის შედეგების გამოყენება პერსონალის მართვისა და განვითარების მიზნებისათვის და ა.შ.
- თვითშეფასების ანგარიში;
- საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი;
- სტატისტიკური მონაცემები პერსონალის შესახებ;
- პროგრამის ბიუჯეტი.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია პროგრამის ინტეგრირების განხილვა გრძელვადიან საერთაშორისო პროექტებში, როგორცაა Erasmus+, რადგან ეს შესთავაზებს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს საერთაშორისო საგანმანათლებლო საზოგადოებასთან აქტიური ჩართულობის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს. ასეთ პროექტებში მონაწილეობას შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს დარგის განვითარებაში, ხელი შეუწყოს მის შესაბამისობას გლობალურ სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ალტერბრიჯის უნივერსიტეტი განთავსებულია თანამედროვე შენობაში, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო და დაცულ გარემოს როგორც სწავლის, ისე მუშაობისათვის. აუდიტორიები შესაბამისადაა აღჭურვილი, მათ შორის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მქონე კომპიუტერებითა და პროექტორებით. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ამყობს ბიბლიოთეკით, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს, აკადემიური პერსონალისათვის გამოყოფილი სამუშაო ადგილებით, კომპიუტერული ცენტრით, საკონფერენციო დარბაზით და კაფეტერიით.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სისუფთავს და ესთეტიკურ მიმზიდველობას მთელ კამპუსში, პრიორიტეტით მის მკვიდრთა უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე. გათბობის, ვენტილაციის, კონდიციონერების, განათების სისტემები და სველი წერტილები სრულად ფუნქციონირებს. აუდიტორიები გათვლილია ბუნებრივი განათების მისაღებად. ასევე, უზრუნველყოფილია უწყვეტი ელექტრომომარაგების სისტემით. გარდა ამისა, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამედიცინო ცენტრი, რომელიც აღჭურვილია აუცილებელი მედიკამენტებით. გამოსადეგი იქნებოდა, თუკი უნივერსიტეტი შეძლებდა შენობის ევაკუაციის გეგმის უზრუნველყოფას, რომელშიც ნაჩვენებია იქნებოდა საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის და რეაგირების ზომები. ეს საშუალებას მოგვცემდა შეგვაფასებინა უსაფრთხოების პროტოკოლები და პროცედურები, რომლებიც უნივერსიტეტის შენობაში აგანხორციელებული.

მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტები საუნივერსიტეტო კამპუსში მდებარე სპეციალურ მედია ცენტრში ტარდება. წინა საექსპერტო კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, ალტერბრიჯის უნივერსიტეტმა გამოყო უფრო დიდი ფართობი მედია ცენტრისთვის, რაც უზრუნველყოფს ამჟამინდელი სტუდენტური პოპულაციის განთავსებას. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან დისკუსიის დროს დადასტურდა, რომ მომავალში, როდესაც მიღწეულ იქნება სტუდენტების მოსალოდნელი წლიური რაოდენობა, უნივერსიტეტი გეგმავს გამოიყენოს დამატებითი სართულები (ამჟამად გაქირავებული) საკუთარ შენობაში სტუდენტების მზარდი რაოდენობის დასაკმაყოფილებლად, რითაც გააფართოებს საკუთარ შესაძლებლობებს. ამ არგუმენტის დასასაბუთებლად კარგი იქნებოდა, თუკი უნივერსიტეტი შეძლებდა შენობის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენას. ეს

დაგვარწმუნებდა და სიცხადეს მოჰფინდა უნივერსიტეტის კანონიერი მფლობელობისა და შენობაზე კონტროლის საკითხს.

ამჟამად უნივერსიტეტი ფლობს მთელ რიგ ტექნიკურ რესურსებს, მათ შორისაა: ერთი სტუდენტური ვიდეოკამერა, ოთხი ფოტო/ვიდეო კამერა, სამი სამფეხა, მიკროფონი, განათების სისტემები, ხმის ჩამწერი მოწყობილობა და სამი სამონტაჟო კომპიუტერი აუდიო-ვიზუალური რედაქტირების პროგრამებით. დღევანდელი სტუდენტური პოპულაციისათვის ეს ტექნიკური რესურსები შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად; თუმცა, სტუდენტების ახალი ნაკადის მიღების მოლოდინში და იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო გეგმის მიხედვით მედიის სწავლება იწყება პროგრამის მეორე წელს (2023-2024 სასწავლო წელს), მიზანშეწონილია სასწავლო პროცესის უწყვეტად განსაზოვრებლად უნივერსიტეტმა პროაქტიულად შეიძინოს დამატებითი აღჭურვილობა.. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მათერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურის გაძლიერება შეესაბამება უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმას და პროგრამის 2023 წლის ბიუჯეტი მოიცავს ტექნიკური და მათერიალური რესურსების შესაძენად გამოყოფილ სახსრებს. დამატებით აღჭურვილობაში დროული ინვესტირებით, უნივერსიტეტი შეძლებს ეფექტურად დაუჭიროს მხარი მზარდი სტუდენტური შემადგენლობის პრაქტიკულ საჭიროებებს.

პროგრამის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა მარტივად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ფიზიკური და ელექტრონული ბიბლიოთეკების მეშვეობით. ელექტრონული ბიბლიოთეკა არა მხოლოდ უზრუნველყოფს ელექტრონულ წიგნებზე და სხვა დამატებითი მასალებზე წვდომას, არამედ მასპინძლობს სალექციო პრეზენტაციებს, რომლებიც მომზადებულია ლექტორების მიერ თითოეული საგნისათვის. ეს რესურსები აუცილებელია სწავლის შედეგების მისაღწევად. გარდა ამისა, შეფასებისას დავრწმუნდით რომ ბიბლიოთეკის კოლექციაში ქართული თარგმანები ან ინგლისურენოვანი ლიტერატურის ადაპტაცია, რომლებიც ჩვეულებრივ "რიდერებად" მოიხსენიება, ხელმისაწვდომია.

პროგრამის სტუდენტებს ელექტრონული ბიბლიოთეკის საერთაშორისო მონაცემთა ბაზების ფართო სპექტრზე აქვთ წვდომა, რაც მათ საშუალებას აძლევს მიიღონ ინფორმაცია მასობრივი კომუნიკაციის სფეროში უახლესი სამეცნიერო მიღწევების შესახებ. ალტერნატივის უნივერსიტეტი არის შემდეგი ელექტრონული ბიბლიოთეკების რეგისტრირებული წევრი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სტუდენტების სწავლისა და კვლევის შესაძლებლობებს:

- კემბრიჯის ონლაინ ჟურნალები <https://www.cambridge.org/core>
- ე-დიუკის მკვლევართა კოლექციების ჟურნალები <https://read.dukeupress.edu/>
- ედვარდ ელგარის ჟურნალები და განვითარების კვლევების ელექტრონული წიგნები: <https://www.elgaronline.com/>
- IMechE ჟურნალები <https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE>
- ღია გამოცემის ჟურნალები <https://www.openedition.org/>
- სამეფო საზოგადოების ჟურნალების კოლექცია <https://royalsociety.org/journals/>
- SAGE-ის ჟურნალები <https://journals.sagepub.com>
- SAGE APC-ები ღია წვდომის ჟურნალებისთვის <https://uk.sagepub.com/en-gb/eur/pure-gold-open-access-journals-at-sage>

სასწავლო მასალის ორგანიზების გასამარტივებლად უნივერსიტეტი იყენებს სწავლების მართვის ელექტრონულ სისტემას (ELMS). ეს პლატფორმა წარმოადგენს ცენტრალიზებულ ჰაბს, სადაც იტვირთება საგნების სილაბუსები, სტუდენტების დასწრების ჩანაწერები, დავალებები და მათი შეფასების შედეგები. ELMS სისტემა სტუდენტებს საშუალებას აძლევს თვალყური ადევნონ თავიანთ

შეფასებებს თითოეულ საგანში, დაამყარონ პირდაპირი კომუნიკაცია შესაბამის ლექტორთან და სხვა შესაბამის რესურსებზე წვდომა მიიღონ. ტექნოლოგიის ეს უწყვეტი ინტეგრაცია მნიშვნელოვნად ზრდის საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობასა და ეფექტიანობას.

უნივერსიტეტის ობიექტებში არსებული ყველა მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პროგრამაში მონაწილე პერსონალისათვის. სტუდენტებს და პერსონალს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ეს რესურსები თავიანთი საგანმანათლებლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად და აკადემიური ძალისხმევის ეფექტურად განსახორციელებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ჩვენი ვიზიტის დროს მონახულებული უნივერსიტეტის ობიექტების შეფასება
- უნივერსიტეტში დამკვირვებლური საწარმოო აღჭურვილობის შეფასება
- ბიბლიოთეკის წიგნების კოლექციის საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ აუცილებელ ლიტერატურასთან შესაბამისობის შეფასება
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
- პროგრამის ბიუჯეტი
- ჩატარებული გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან და ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა პროაქტიულად შეიძინოს დამატებითი აღჭურვილობა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით, პროგრამის მოსალოდნელი გაფართოების გათვალისწინებით.
- მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა წარმოადგინოს შენობის ევაკუაციის გეგმა, წარმოაჩინოს მზადყოფნა და უზრუნველყოს რეაგირების ზომები საგანგებო სიტუაციებისთვის. ეს შესაძლებელს გახდის შეფასდეს უნივერსიტეტის შენობის შიგნით უსაფრთხოების პროტოკოლები და განხორციელებული პროცედურები.

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4. მატერიალური რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტი განათლების თითოეულ საფეხურზე თავდაპირველად დაგეგმილია საშუალოდ 40 სტუდენტისათვის. თუმცა, ბიუჯეტის გაანალიზებისას ცხადი ხდება, რომ პროგრამა არ იზარალებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი საშუალოდ 30 სტუდენტით იქნება უზრუნველყოფილი. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაში პირველ წელს (2022-2023) 18 სტუდენტი ჩაირიცხა, რეალისტური იქნება ვივარაუდოთ, რომ მომდევნო წლებში მოხერხდება მინიმუმ 30 სტუდენტის მიღება. ეს მიუთითებს, რომ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსების მოპოვება ეკონომიკურად შესაძლებელია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიუჯეტი უნდა დაკორექტირდეს 2022-2023 სასწავლო წლის სწავლის საფასურიდან მიღებული რეალური შემოსავლების მიხედვით.

გარდა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების დაფარვისა, პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სტუდენტების წახალისება და სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერა. იგი ასევე გამოყოფს თანხებს პერსონალის პროფესიული განვითარებისა და კვლევის წახალისებისათვის. გარდა ამისა, ბიუჯეტში გათვალისწინებულია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გაფართოება და ტექნიკური რესურსების განახლება და შექმნა. ეს მოსაზრებები მიუთითებს იმაზე, რომ ბიუჯეტი შექმნილია პროგრამის გრძელვადიანი განვითარების მხარდასაჭერად.

თუმცა, პროგრამის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილი იქნებოდა ბიუჯეტში შემოსავლის დამატებითი წყაროების ჩართვა. საგულისხმოა, რომ უნივერსიტეტის პოლიტიკა და უმაღლესი ხელმძღვანელობის ვალდებულება გამოიხატება მათ მიერ საჭიროების შემთხვევაში პროგრამისთვის დამატებითი ფინანსური რესურსების გამოყოფისათვის მზაობაში. ეს ვალდებულება გამოვლინდა 2022-2023 სასწავლო წელს, როდესაც პროგრამას ჰყავდა ნაკლები სტუდენტი, ვიდრე თავდაპირველად იყო დაგეგმილი, რამაც გამოიწვია მისი ფუნქციონირებისათვის არასაკმარისი შემოსავალი. უნივერსიტეტმა ამ პერიოდში უზრუნველყო პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა. ჩვენი ვიზიტისას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ხაზი გაუსვა, რომ პროგრამის განვითარება წარმოადგენს უმთავრეს პრიორიტეტს და უნივერსიტეტი მზად არის გამოიყოს დამატებითი შემოსავლები მისი ზრდის მხარდასაჭერად. აღსანიშნავია, რომ მსგავს პოლიტიკას ახალ პროგრამებთან დაკავშირებით ბევრი ქართული უნივერსიტეტი ახორციელებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის ბიუჯეტი
- გასაუბრება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, ფინანსურ მენეჯერთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პროგრამის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია ბიუჯეტში შემოსავლის დამატებითი წყაროების გათვალისწინება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„ალტერბრიჯის“ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებით.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე ირკვევა, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან.

წინა აკრედიტაციის პროცესში ექსპერტების მოსაზრებით პროგრამის მომზადებაში აქტიური ჩართულობა ხდებოდა საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხოლოდ ვიწრო წრის მონაწილეობით. ეს გათვალისწინებულ იქნა უნივერსიტეტის მიერ და ახლა ამკარაა სხვადასხვა ერთეულების ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები ექვემდებარება "PDCA" - დაგეგმე - გააკეთე - შეამოწმე - იმოქმედე პრინციპს.

ამ ციკლის მოქმედებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ყველა მხარის ეფექტური ჩართულობა. ხდება ჩატარებული კვლევის გაანალიზება, კვლევის შედეგები და მათზე რეაგირების გზები აისახება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებში და წარედგინება გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებს.

ამ გადაწყვეტილებების საფუძველზე განხორციელდა შემდგომი ცვლილებები, რამაც აქტიურად შეუწყო ხელი პროგრამის განვითარებას და გაუმჯობესებას.

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსაზღვრავს წლის განმავლობაში ჩასატარებელ სამუშაოს, რომელიც აისახება სამოქმედო გეგმაში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის თითოეულ სფეროში (საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და კვლევა, სწავლა/სწავლების პროცესი, სტუდენტური სერვისები და ინფორმაცია, უნივერსიტეტის სტრუქტურების გამართული მუშაობა) შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მოპოვების ინსტრუმენტები. რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა კომპონენტის შეფასებას.

შრომის ბაზრის კვლევის წარმოდგენილ დოკუმენტში, ძირითადად გაზიარებულია ზოგადი მოსაზრებები. სწორედ ამიტომ, ზოგიერთ შემთხვევაში, რთულია მკაფიოდ განისაზღვროს, რომ შრომის ბაზრის წინამდებარე კვლევა ორიენტირებულია მასობრივი კომუნიკაციების დასაქმების შესწავლაზე. მიზანშეწონილია შრომის ბაზრის კვლევაში ფოკუსირება უფრო სიღრმისეულ ანალიზზე, რომელიც უშუალოდ იქნება დაკავშირებული სფეროსთან.

გასაუბრების დროს ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა ემუშავა თვითშეფასების ჯგუფთან. აღსანიშნავია, რომ წინა სააკრედიტაციო ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო და ამჯერად თვითშეფასების ჯგუფში შედიოდნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, თუმცა ექსპერტებისათვის ეს ცნობილი გახდა მხოლოდ გასაუბრებისას, ვინაიდან თვითშეფასების ანგარიშში ეს არ იყო მითითებული და არც შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია იყო წარმოდგენილი.

ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა პროგრამის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები, რომლებშიც დადასტურდა დამსაქმებლებთან მასობრივი კომუნიკაციის საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა, განხორციელებული ექსტრაკურიკულური აქტივობები და გასაუბრებისას პროგრამის ხელმძღვანელების განხილვის თემათა .

თავად თვითშეფასების ანგარიში სუსტია, როგორც ანალიტიკური, ისე არგუმენტირების თვალსაზრისით. როგორც კრიტიკულად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, აუცილებელია დეტალურად აღწეროს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობები, განსაკუთრებით წინა რეკომენდაციების/რჩევების განხორციელების კუთხით. შესრულებული სამუშაოს გამოსავლენად ექსპერტთა ჯგუფს დასჭირდა დიდი ძალისხმევის გაწევა. აუცილებელია, რომ თვითშეფასების ანგარიში იყოს ინფორმაციული, ანალიტიკური და არგუმენტირებული, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ინდიკატორების შესაბამისად. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად უნდა იზრუნოს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- შიდა ხარისხის შეფასების შედეგები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კითხვარები
- პროგრამის გარე შეფასება
- თვითშეფასების ანგარიში
- ჩატარებული გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფისათვის მოწოდებული თვითშეფასების ანგარიში არ იყო ზუსტი, რადგან მასში გამოტოვებული იყო საკვანძო ინფორმაცია. თვითშეფასების ანგარიში აუცილებელია იყოს ინფორმაციული, ანალიტიკური და არგუმენტირებული, წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ინდიკატორების შესაბამისად. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად უნდა იზრუნოს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრაზე;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია შრომის ბაზრის კვლევაში ყურადღება გამახვილდეს უფრო სიღრმისეულ ანალიზზე, რომელიც უშუალოდ იქნება დაკავშირებული სფეროსთან.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში უნივერსიტეტი იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს. იგი თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამა პირობითადაა აკრედიტირებული, პროგრამაზე მომუშავე გუნდი და ჩართული დანაყოფები აქტიურად მუშაობდნენ ადრე გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე, რაც ხაზგასმით აღინიშნა ვიზიტის დროს.

დოკუმენტებისა და გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ გარე შემფასებლების (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტების) მიერ ადრე გაცემული რეკომენდაციები აქტიურად იქნა გათვალისწინებული პროგრამის ხელახალი აკრედიტაციისა და მის გაუმჯობესებაზე მუშაობის პროცესში.

გარე შემფასებლის დასკვნები ასევე იქნა წარმოდგენილი. გარე შემფასებლები არ იყვნენ შეფასებული პროგრამის წარმომადგენლები, არ წარმომადგენდნენ დაინტერესებულ მხარეს და გააჩნდათ კომპეტენციები შესაბამის სფეროში.

გარე შემფასებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამა არის აქტუალური, საინტერესო და წარმოდგენილი კურსები პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინა დასკვნა;
- გარე კოლეგიალური მიმოხილვა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ჩატარებული გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- -

რიკვები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მონაცემთა სისტემატური შეგროვების, შესწავლისა და ანალიზის გზით.

პროგრამის მონიტორინგის, პერიოდული შეფასებისა და პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნიდან გამომდინარე გამოიყენება სხვადასხვა საშუალებები - გამოკითხვა, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი, შიდა კოლეგიალური შეფასება, პროგრამის შედარება ანალოგებთან.

უნივერსიტეტს გააჩნია წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კითხვარები, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს სრული ანონიმურობის დაცვით გამოხატონ საკუთარი აზრი სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ადამიანური და მატერიალური რესურსების თაობაზე. წინასწარ არის განსაზღვრული შეფასების განრიგი, სადაც იწერება კითხვარის ტიპი, მონაწილეები და მათი სავალდებულო პერიოდულობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შედგენილ კითხვებზე პასუხების სტატისტიკურ დამუშავებას, შედეგების ანალიზს, საჭიროების შემთხვევაში მონაცემების დაზუსტებას (რესპონდენტთან შეხვედრები, სიდრმისეული ინტერვიუები/გამოკითხვები) და რეკომენდაციების შემუშავებას.

გასათვალისწინებელია, რომ PDCA ციკლის უწყვეტობისათვის, რეკომენდებული საკითხების განხორციელება უნდა ექვემდებარებოდეს მონიტორინგს მანამ, სანამ პრობლემა ან საკითხი საბოლოოდ გადაწყდება. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სპეციალური რეაგირების ფორმა (ან მოხსენების ფორმა), რომელშიც რეკომენდებული საკითხების შესრულებაზე პასუხი

დოკუმენტური ფორმით იქნება წარმოდგენილი, რათა გადამოწმდეს გასაუმჯობესებელი სფეროების შესრულება.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ წინა ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთდა რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა უნივერსიტეტის მიერ მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგიის შემუშავებას და პროცედურებისა და პროცესების შექმნას საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების მიზნობრივი განხორციელებისათვის.

უნივერსიტეტმა გაითვალისწინა საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები დეტალურად არის აღწერილი შესაბამის დოკუმენტში და ამ მექანიზმების შესრულება დასტურდება წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულების დოკუმენტის მიხედვით, გაანალიზდა ანალოგიური როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო პროგრამები. თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით გამოყენებულ იქნა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კითხვარები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევა (პერსონალი, სტუდენტები);
- პერსონალის საქმიანობის შესწავლის ანალიზი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ჩატარებული გასაუბრების შედეგები;
- პროგრამის გარე შეფასება.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სპეციალური რეაგირების ფორმა (ან მოხსენების ფორმა) რომელშიც დოკუმენტური სახით აისახება რეკომენდებული საკითხების განხორციელებაზე რეაგირება, რათა გადამოწმდეს გაუმჯობესდა თუ არა გასაუმჯობესებელი სფეროები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

მართვისა და კომუნიკაციების საერთაშორისო უნივერსიტეტი (ალტერბრიჯი)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

მასობრივი კომუნიკაციების ბაკალავრიატი (აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხური)

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტანდარტი				
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
პროფესორი ედრიან ჰედლენდი

-
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

მაგდა მემანიშვილი

დავით კაკიაშვილი

ნინო მახვილაძე

ნინო პატარაია

